ბრძანება:**ბ115.115221501**
თარიღი:**30/05/2022**

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე
სხდომის ჩატარებისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ბიუროს გადაწყვეტილების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი''-ს 26-ე მუხლის მეორე პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად ვბრძანებ:

1. მოწვეულ იქნას ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა 2022 წლის 31 მაისს, 12-00 საათზე, რომელიც გაიმართება ქობულეთის მუნიციპალიტეტის შენობაში მესამე სართულზე, სააქტო დარბაზში. (მის: ქობულეთი,დ.აღმაშენებლის გამზირი N141);

2. ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ გადაწყვიტა: ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის 31 მაისის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში შეტანილ იქნას შემდეგი საკითხი:

2.1. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 27 მაისის N114-1142214749 მომართვა- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ქობულეთის მუნიციპალიტეტის დასახლებების მიხედვით შესაბამისი პროექტების დამტკიცების შესახებ;

(მომხსენებელი: ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე დავით ვერულიძე)

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30);

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

დავით მჭედლიშვილი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი